ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY
XIII 2021

შიდამიგრაცია კახეთიდან – პოლიტიკური და ეთნიკურ-კულტურული ისტორიის საკითხები (დასავლეთ საქართველოში მიგრირებულ გვართა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

Internal Migration from Kakheti – Issues of Political and ethno-cultural history (On ethnographic materials of surnames migrated to West Georgia)

დავით შავიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Davit Shavianidze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

One part of a proud and difficult way of studying and understanding causes, forms, directions and time of internal migration process of Georgian population is description and complex-ethnohistoric research of the processes of moving from one historical-ethnographic unit to others.

During years, ethnographic materials collected in different time, tell us a history of moving of population of Georgian historical-ethnographic unit- Kakheti to different communities of Imereti. According to ethnohistoric research of the surnames: Khizaneishvile(<—Gelkhvidze), Chakhunashvili, Gabelashvili, Bakhutashvili, Topadze, Nanikashvili, Arsenidze, Makharoblidze, Makharashvili, Devdariani we learn causes and directions of the migration of the surnames (twice migration); issues of political history and relationship; origin of surnames formed on names created by social status, professional and other signs, eponims [the surname Khizaneishvili is derived from a nickname Khizana; Khizana was an ancestor of the slave of the Chkheidze. They were from Dimi).; Surname Chakhunashvili comes from a person nicknamed 'Chakhuna' - a carpenter from Sighnaghi who moved to Gadishi- a village in Vani; Surname Arsenidze derives from a proper noun Arsen. The Arsenidze- 'Three nests' live in Sochkheti; The Makharashvili moved from Kaheti are offspring of someone called Makhara]; issues connected with creed, icon [Some people go to Gurna from Kakheti at

Tekhisoba to scarify. They associate one of their icons to this place; The area where Gabelashvili lived is called a 'priest area']; the cases of adoption; issues of language forms; the cause of migration alongside with many other reasons is considered to be a difficult historical period. It became vivid that the cause of migration was absence of land and water. The history of nobles and social status of slaves are being studied. Historians also study how refugees got surnames from their survivors; the story of 'relapsing fever' at different times [It's true that toponyms of Tsitelkhevi'sakhazino'(treasury) and 'sakhadi' (relapsing fever) is not formed from the surnames of any people, but they are the names of the places where they hide from their enemies and people deceased with relapsing fever.] Interesting materials for researching ethno-cultural history are found in toponyms, second inherited names of the surnames [The Nanikashvili are called 'Svani' due to the fact that they are quarrelsome;TheArsenidze in Sochkheti are called 'Kakhelian' as they are from Kakheti. The Gelkhvidze in Khani are called 'Brundebi' (You are returning). None of the representative of this surname will tell you the truth. They will lead you to the lie) 'Farneebi' (nickname created according to physical characteristics 'farna is – a kind of red-white bean, 'Konkrikhebi'(Kokrikhi is the top of the ridge in Lechkhumi. Compare Konkrikha in Okriba// konkrokhi is said to be a parvenu, an unsuitable person, mostly a woman) 'Fatsureebi'(the part of the people of this surname is fast, hustling people'. Fatsura is a frisky, energetic dog in Guria,' Mtsvanila' (Greens) A grandfather made children help him fasten trimmed part of the vine and then fed them with greens); Part of Khizaneishvili is 'Lekvitchamia'(puppy eaters). Also, there is an example of a cultural mosaic- the surname Laferadze. It's possible that all elements existing in Georgian language-cultural life aren'tstated.

Hence, unlike Professor Guram Bedoshvili, we consider that these surnames were in Imereti before they were statedin documents and not only issues of Kakheti and Kartli.

Ethnographic materials on the migrated surnames in West Georgia from Kakheti are one of the first sources of ethnohistorical issues. Penetration of natives of different parts of Georgia in the region implemented a consolidation of Georgian ethnic unit and understanding notion of unity.

საკვანძო სიტყვები: ეთნოისტორია, ანთროპოტოპონიმები, გვარის მთავარი სალოცავები, გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელები.

Keywords: Ethnohistory, Anthropotoponyms, The main shrines of the genus, The second hereditary names of the genus.

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრთა შიდა მიგრაციული პროცესების შედეგების კვლევისთვის სანდო წყაროა კახეთიდან იმერეთში და, პირიქით, მოსახლეობის მიგრაციის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალები.

მიგრაციის აღმწერი ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევით ირკვევა: გადასახლების მიზეზები და დრო; გვარების შეცვლის, ეპონიმურობის, ძირსალოცავთან დამოკიდებულების საკითხები; სოციალური მდგომარეობის და შვილად აყვანის შემთხვევები, ტოპონიმთა (ანთროპოტოპონიმთა) წარმოების თავისებურებები.

მიგრაციის დრო, მიზეზები და მიმართულებები

კახეთიდან გადმოსახლებული ჩხეიძეთა დიმელი ყმა ხიზანეიშვილების ძირი გვარი გელხვიძე ყოფილა. მიგრაციის მიზეზად ისტორიული ძნელბედობა სახელდება: „ხიზნობის გამო გამხდარა ხიზანეიშვილი“.

გვარსახელის ფონეტიკური ვარიანტები – ხიზანაშვილი // ხიზანიშვილი ძირითადად XVII ს. II ნახევრიდან დასტურდება ქართლში.

ჩიჯავაძეთა და ლორთქიფანიძეთა სათავადოების ყმა-გლეხი ჩახუნაშვილების (სოსელია 1973) წინაპარი სიმონი დაახლოებით ორი საუკუნის წინათ მოსულა ბაღდათში. ვანის სოფელ გადიდში სიღნაღიდან გადმოსახლებული ჩახუნაშვილები როხში დამკვიდრების მიზეზად „ვანის საცხოვრის-სამკვიდროში“ მიწის სიმცირეს და უწყლობას ასახელებენ. როხიდან წასული ჩახუნაშვილები ცხოვრობდნენ გურიაში, სოფელ ლესაში.

გვარი ეპონიმურია. მომდინარეობს ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი მეტსახელიდან ჩახუნა: „წინაპარს ეძახდნენ იმის გამო, რომ ხის ხელობა სცოდნია“.

ოკრიბის სოფელ ძმუისში გაბელაშვილების ორი შტო მკვიდრობს. სოფელში გაჩენილა „პელაგრა“ ავადმყოფობა (კაცს კანს აძრობდა და კლავდა), ხალხი იხიზნებოდა[1]. ამ სახადს დართვია შიმშილობა. სარჩოს „მისაწნევნად“ კახეთში წასულა სალომე ბაბუხადია, გადარჩენილი გაბელაშვილის ცოლი და თან წაუყვანია შვილი ბერიკა. პატარა დაუტოვებიათ კახეთში, ერთ ოჯახში გასაზრდელად პირობით, რომ გვარს არ შეუცვლიდნენ. ბერიკას გვიან შეუტყვია თავისი გვარის ადრინდელ საცხოვრისზე. დასახლებულა ისევ ძმუისში. „მასთან ერთად გვარი გაუმრავლებია კახეთიდან მოსულს, გაბელაშვილის გვარმიღებულს“.

ლეჩხუმის სოფელ ლაჯანას მკვიდრი მახარობლიძეები „კახეთიდან გათურქება-გადაგვარებას გამოქცეული“ მაყაშვილების შთამომავლები არიან. გვარი მახარობლიძე ყველაზე ადრე საისტორიო დოკუმენტებში 1684 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრად მოწმდება. მაყაშვილი კი უფრო ადრე XV ს. ბოლოს შედგენილ საბუთში „სვეტიცხოვლის კახური მამულების გადამოწმების თაობაზე“ ფიქსირდება (ალექსიძე 2004: 103).

ეთნოგრაფიული მასალებით, წყნორის მკვიდრი მახარაშვილები კახეთიდან მოსული ვინმე მახარას შთამომავლები არიან. საისტორიო

[1]შდრ.: სახიზნო – წითელხევის ეს ტოპონიმი იმ ადგილის სახელია, რომელიც აღნიშნავს „მოურჩენელი სენით დაავადებულთა თავშესაფარს, სადაც მიდიოდნენ, მიჰყავდათ სახადიანი ავადმყოფები“

დოკუმენტები კი, მახარაშვილების მკვიდრობას ქვემო ქართლში, არდისუბანში ადასტურებენ. 1536 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნში აღნიშნული გვარისანი ჩაწერილი არიან როგორც მახარანი (თოფჩიშვილი 1997: 101).

ქუთაისის მკვიდრი გელაშვილების წინაპარი, დიდი ბაბუა, გიორგი გელაშვილი წარმოშობით კახეთიდან, ბოდბედანაა. „გიორგის მამა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულა. სამი წლის ერთადერთ ვაჟთან ერთად ჩამოსულა დიდი ბებია ქუთაისში, თავის მამის სახლში. ასე დაფუძნებულა ჩვენი განაყოფის გელაშვილი პირველად ქუთაისში“ (მთხრობელი: თ.გელაშვილი. ქუთაისი. 2021).

საკმაოდ დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო „მუდამ,კომლზე და ქუდზე კაცად სამშობლოსთვის გამოსული“ყურაშვილების განსახლება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში. ყურაშვილები ჩანან ქვემო და შიდა ქართლში, აგრეთვე, შიგნით კახეთში. ლეჩხუმში მოსახლეობენ XVI საუკუნიდან.

ეთნოგრაფიული მასალებით, ქვემო ქართლის ყურაშვილების ნაწილი გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასულა და ნასყიდიანცები გამხდარან, ნაწილი შიგა კახეთიდან საინგილოში, ზაქათალას რაიონის სოფელ ალიაბადში გადასახლების მერე გამაჰმადიანებულა და ყურბანოვები არიან[2] (მასალები მოგვაწოდა მარიამ ყურაშვილმა, 2021).

სოფელ ძმუისში ბახუტაშვილების გვარი მკვიდრობს. ბახუტაშვილების გვარის მიგრაციაზე, მიზეზებსა და პირველსაცხოვრისზე ისტორიული დოკუმენტებით დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალები არ გაგვაჩნია, მაგრამ გადმოცემებსა და საბუთებში დაფიქსირებული დრო ერთმანეთს ემთხვევა. ოკრიბაში აღნიშნულ გვარს პირველად დავით მეფის 1784 წლის საბუთები იხსენიებს. სულ პირველად კი ეს გვარი 1622 წელს იხსენიება თეიმურაზ I-ის კარის დაცვის უფროსად, შემდეგ მოურავად: „Цар Теимуразь даеть Бахутову (Бахуташвили)сльедующую грамоту: „Когда Персидский шахь вель сь нами войну, отняль у насъ царство и мы удалились въ Кутамись (Кйтаись), онъ подаслал ккнамь сь цъелью убить нас, но ты открыл ихъ и поймаль ихь, и такимь образомь спась насъ от смерти. За эту услугу мы пожаловали тебе имение и крестьян раиндашбили вьКисисхе и должность моурава Кисисхевскоге (Пурцеладзе 1881: 15).

იაშვილების ყმა ტოფაძეები ისტორიული საბუთებითაც ოკრიბაში პირველად სოფელ ძიროვანში იხსენიებიან. 1755 წლის ბესარიონ კათალიკოზის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „ლიხთიმერთა, ოდიშართა, პონტო აფხაზ გურიათა, რაჭა ლეჩხუმთ, სვანთ, ოსთ, დვალთა და სრულიად ჩრდილოეთისა საჭეთმპყრობელმან, რაჭის ერისთავის ძემან კათალიკოზ პატრიარხმან უფალმან ბატონმან ბესარიონ შემოგწირნეთ კნინი ესე შესაწირავი ძიროანს ორი გლეხი ნასხიდა ტოფაძე და მისი ძმა მჭედელი ხუცია და მეორე გლეხი კუბლაშვილი ბაზიერის შვილები თამაზა, ნასხიდა და მამუკა შემომიწირავს...“ (კაკაბაძე 1921: 55).

[2] ეთნოგრაფიული მასალების ეს მონაცემები გადამოწმებას და მომავალ კვლევას საჭიროებს.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ტოფაძეები დაახლოებით ორი საუკუნის წინ მოსულან კახეთიდან ოკრიბაში და დასახლებულან სოფელ ძიროვანში. აქედან წასული ტოფაძეები ცხოვრობენ სოფელ აჯამეთსა და ცხენთაროში, სალომინაოში, გეგუთში, თერჯოლასა და თერჯოლის მუნიზიციპალიტეტში, ქუთაისში, რაჭაში და სხვაგან.

ოკრიბაში მკვიდრობენ „ორი ბუდის, კახეთის და აჭარის ბუდის" ნანიკაშვილები.

ოკრიბის სოფელ სოჩხეთის მკვიდრი არსენიძეების ერთი „ბუდეც" კახეთიდანაა (მთხრობელები: ვალოდია და ალმა არსენიძეები, 1996).

ისტორიული მონაცემები მიუთითებენ აღნიშნული გვარის როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ასევე იმერეთში, კერძოდ ოკრიბაში, მკვიდრობას. „არსენისძე – ზარათის მცხოვრები ერთი კომლი იაკობ დეკანოზმა გელათის ხახულის ღმრთისმშობელს შესწირა ხელისძისეული ნასყიდი მამული, რომელზედაც დაასახლა თავისი გაზრდილი და ექვსი კომლი გლეხი. მათ შორის იყო ერთი კომლი არსენისძე (1259-1293) (სურგულაძე, ოდიშელი 1991:173). 1730 წლის გირავნობის წიგნის მოწმედ დასახელებულია არსენაძე პატა (შავიანიძე 2002: 72).

პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული ურთიერთობები

გვართა მიგრაციის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალები უმნიშვნელოვანესი წყაროა ქვეყნის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების შესასწავლად.

ჩახუნაშვილების გვარის ისტორია უახლესი ისტორიის მძიმე მონაკვეთს შეგვახსენებს. ეთნოგრაფიული მასალა: „ჩახუნაშვილებს მოუწიათ სიაში მოხვედრის ბედნიერება კომუნისტებისგან და ორმოციან წლებში[3]ახალციხეში გადანასახლები გვარია".

XIX ს. 40-იანი წლების საარქივო მასალებით იმერეთის სოფელ ლაშეს მკვიდრი მახარობლაძე/მახარობლიძე დევდარიანის შინამოსამსახურეა. თუ მივიღებთ მახარობლიძეთა კახეთიდან მიგრაციას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმერეთში მოსულან და რომელიმე წინაპრის სურვილით თუ საჭიროებით, ან სვან დეუდორიანთა/დევდარიანთა ნებით მოხვდნენ ლეჩხუმში.

სოციალურ ურთიერთობათა კვლევის თვალსაზრისით, საინტერესოა ლეჩხუმელი, სოფელ ვანისჭალას მკვიდრი ნემსაძეების გვარის ისტორია. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით აღნიშნული გვარის ხალხს ებარათ ბაკურაძეები, მუშკუდიანები, მანაგაძეები, ყურაშვილები.

გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელები. ანთროპოტოპონიმები

ანთროპოტოპონიმები და გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელები ეთნოსის თვითშეგნების, წარსული და ახალი ცხოვრების, მსოფლხედვის, ენობრივ-კულტურული ურთიერთობების შესწავლის წყაროა.

ხიზანეიშვილების ნაწილი „ლეკვიჭამიები" არიან. მრავალფეროვანია ხიზანეიშვილების ძირ-გვარ გელხვიძეების მეორე მემკვიდრეობითი

[3] საუბარია XX საუკუნის 40-იან წლებზე

სახელები. ბრუნდები – „მართალს არ იტყოდნენ, კვალს დაგიბნევდნენ; ფარნეები – „ფიზიკური მახასიათებლის მიხედვით შექმნილი მეტსახელი“; ფარნები – ფარნა წითელ-თეთრი ლობიოს ჯიშია (ღლონტი 1984: 535); კონკრიხები – მ. ალავიძის განმარტებით კონკროხი ლეჩხუმში ქედის წვერია (ღლონტი 1984: 300). შდრ., ოკრიბაში კონკრიხა//კონკროხი იტყვიან მეტიჩარა, მდგომარეობის შეუფერებელი ქცევის მქონე პიროვნებაზე, უფრო ხშირად ქალზე; „ფაცურეები“ – „გვარის ეს ნაწილი ჩქარი ფაცურა ხალხია“. ფაცურა ცქვიტი, მოძრავი ძაღლის სახელია გურიაში (ღლონტი 1974: 538); მწვანილა – „ბაბუას ბავშვები მოუხმარია ვენახის ნასხლავის გასაბოჭად და შემდეგ უჭმევია მწვანილი“.

მახარობლიძეთა ეპონიმურ გვარს საფუძვლად უდევს მთელ საქართველოში გავრცელებული საკუთარი სახელი – მახარობელი (იგი პირველად XIII-XIV სს. საბუთებში იხსენიება).

სიღნაღიდან ჩამოსული ჩახუნაშვილებისთვის საფუძველი ხის ხელობის მცოდნე „ჩახუნას“ დაუდვია.

ნანიკაშვილებს მაჩხუბრობის გამო „სვანებს“ ეძახიან“; „არსენიძეების კახური შტოს ერთ განაყოფს მეტსახელით „კახელი“ გამოარჩევენ.

„მღვდლის გარემო“ გაბელაშვილის „ნაცხოვრალს“ ჰქვია და შეგვახსენებს იმას, რომ აქ გაბელაშვილები ცხოვრობდნენ.

რწმენის, ძირხატთან დამოკიდებულების შესახებ

ადგილობრივ და მიგრირებულ გვარებს ლოცვისთვის, ღვთის რწმენის შენარჩუნებისთვის ტრადიციულად ჰქონდათ სალოცავი. ნებით თუ იძულებით მიგრაციიდან დროის გასვლის შემდეგ მიდიოდნენ ძირსალოცავში სულის საზრდოსთვის, პატიების სათხოვნელად, შეწევნისთვის. აღნიშნულ მსახურებაზე საუბრისას მთხრობელები გეუბნებიან, რომ „ძველები“ დადიოდნენ წელიწადში ერთ დღეს, დადიოდნენ ძირსალოცავში, ან იქ, სადაც დააბრძანებდნენ ძირი სალოცავის ნიშს. დადიოდნენ სალოცავად და საწირავად რომელიმე რელიგიურ დღესასწაულებზე, „აღდგომას გამოუტოვებლად“.

ეთნოგრაფიული მასალების კვლევით მიღებული, ქართულისთვის დამახასიათებელი ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ნემსაძეებისა და ბანძელაძეების გვარების წარმომადგენლები ყოველ წელს იკრიბებიან ვანისჭალის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტერში[4] კვირაცხოვლობის დღესასწაულზე. „საერთო საგვარეულო სალოცავის მოლოცვით კი საფუძველი ეყრება ნათესაობის მსგავს ერთობას[5]“.

ოკრიბის სოფელ მუხურაში, კირკიტაძეების უბანში მცხოვრები ბოჭორიშვილების ერთი ნაწილი კახეთიდან წარმომავლობას ამბობენ. ისინი თავიანთ დღესასწაულად ასახელებენ კახეთში, სოფელ ბუშეტში ბოჭორიშვილების ტრადიციულ დღეობას „ტეხისობა“, რომელიც

[4] ნემსაძეებს საგვარეულო, ციხე-სალოცავი, „უდიდესი და უძველესი ნალოცი ადგილი“ აქვთ, აგრეთვე, ვანისჭალაში.

[5] ნემსაძეები ასევე, ცხოვრობენ გურიაში, სოფ. მთისპირში.

აღინიშნება აღდგომის ყოველ მესამე კვირას. დღესასწაულზე ხსნიან ქვევრს და ადღეგრძელებენ ბოჭორიშვილების გვარს.

საკითხის კვლევისას ყურადღებას იქცევს მთხრობელთა მიერ გამოყენებული ტერმინი „ძველები". პირდაპირი მნიშვნელობით გადმოცემულ შინაარსზე არანაკლებ მნიშვნელოვანია „ტერმინით მონაყოლი" მიზეზი, რის გამოც აღარ ხდებოდა სალოცავის მოლოცვა. მიზეზი კი იყო რელიგიის, რწმენის დევნა მეოცე საუკუნეში. საკუთარი სალოცავის, ნიშის რწმენის აწმყოში ვეღარ, აღარ გაღვივებას ხელი შეუწყო კულტურული გლობალიზაციის პერიოდის იდეოლოგიებმა რელიგიური თავისუფლების შესახებ, რწმენისადმი ინდივიდუალურმა მიდგომამ.

შვილად აყვანის ტრადიციის შესახებ

გვარსახელებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალების კვლევით ირკვევა, რომ საქართველოში შვილად აყვანილი ქონებრივ-უფლებრივი, სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით ბიოლოგიური შვილის ტოლი, სანათესაოში ნათესავად აღიარებული იყო: „შვილად აყვანა იყო მშვილებელი ოჯახის უფლება, საშუალება, გაეგრძელებინა არსებობა".

„ნანიკაშვილს უშვილებია აჭარელი დიასამიძე და შემდეგ შეძენია საკუთარი შვილი „სისხლი ნანიკაშვილი. გარჩევით არც ერთი არ გაურჩევია არავის არც მშობელს და არც სანათესაო-სამოყვროს".

კულტურული მოზაიკურობის საკითხი

კულტურული მოზაიკურობის, ქართული ენობრივ-კულტურული სამყაროს საერთოობის დასტურია ადამიანის მეტსახელები: ჩახუნა და ლაფერა. ერთიც და მეორეც კოლხურ სინამდვილეშია გავრცელებული, მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ „ჩახუნა" გავრცელებული ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოში და იგი საფუძვლად დასდებოდა გვარს ჩახუნაშვილი. იგივე შეიძლება ვთქვათ ლაფერაძის გვართან დაკავშირებით. არაა გამორიცხული, რომ გვარი წარმოქმნილიყო დამოუკიდებლად დასავლეთ საქართველოშიც და მას საფუძვლად დასდებოდა ხელობის აღმნიშვნელი სახელი „ლაფერ".

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს პროფესორ გურამ ბედოშვილს. იგი იმოწმებს ქართული სამართლის ძეგლებში დაცულ საბუთს და მასზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ეპონიმური გვარი ლაფერაშვილი (/ლაფერაძე <-სახელიდან რაფიელი) წარმოქმნილია ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე, რომ იგი კახურ-ქართლური ენობრივი ფაქტია და, ამდენად, მას საფუძვლად ვერ დაედებოდა გურულ-იმერულში დადასტურებული სიტყვა – ლაფერა, რაც ხის დიდ და ბრტყელ პირიან კოვზს, ქვაბიდან ღომის ამოსაღებ პატარა ნიჩაბს ეწოდება (ღლონტი 1984: 324; ბედოშვილი 1989: 15-17).

ქუთაისში დაფუძნებულ გელაშვილს დარჩენია ერთი ვაჟი. მას კი ორი ქალიშვილი. მაშასადამე, გვარი შეიძლება დავარქვათ სოციუმს იმის მიუხედავად, რომ იგი შეიძლება შეწყდეს, პირველ თაობაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: კახეთიდან დასავლეთ საქართველოში მიგრირებულ გვართა ეთნოგრაფიული მასალები ეთნოისტორიულ საკითხთა კვლევის პირველწყაროა. შიდა მიაგრაცია ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის „ერთ სულ და ერთ ხორც ცხოვრებას“ უზრუნველყოფდა.

გამოყენებული ლიტერატურა

დოკუმენტები... 1953: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II(XV-XIXსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1953.

თოფჩიშვილი 1997: თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბილისი, 1997.

კაკაბაძე 1921: კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921.

პირთა ლექსიკონი 2004: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომის რედაქტორი ზ. ალექსიძე, ტ. II, თბილისი, 2004.

პირთა ლექკიონი 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტომის რედაქტორები: მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი, ტ. I, თბილისი, 1991.

სოსელია 1973: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. I, თბილისი, 1973.

სოსელია 1981: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ტ. II. თბ.ილისი, 1981.

ღლონტი 1984: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა,. თბილისი, 1984.